ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3902246

ნომერი: AR1585035

თარიღი : 15.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N12-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფირცხალაიშვილი პ/ნ 01010012926
- თბილისი შ.წუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 8 ბ. 37

ორგანიზაცია:

- livein ლივინი კოდი: 404453462

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1382460
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.07.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. დავით ფირცხალაიშვილის 15/03/2018 წლის AR1585035 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ.თბილისში, ჭანტურიას ქ. N12/ჭანრტურიას ქ. N12–ის მიმდებარედ საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.07.2014 წლის №1382460 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ჭანტურიას ქ. N12/ჭანრტურიას ქ. N12–ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაში იყო 2016 წლის 15 ივლისის ჩათვლით; 12/07/2016 წლის № 2701051 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2014 წლის 15 ივლისის №1382460 ბრძანებაში კერძოდ: მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით; 21/10/2016 წლის № 2892042 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2014 წლის 15 ივლისის №1382460 ბრძანებაში კერძოდ: მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ.თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ჭანტურიას ქ. N12/ჭანრტურიას ქ. N12–ის მიმდებარედ, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2017წლის 02 თებერვალს №ბ-443851/12 ბრძანებით მოქ. დავით ფირცხალაიშვილს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.